საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე
2016/2017 სასწავლო წელს კონკურსის წესით
ჩარიცხვის შესახებ

2016/2017 სასწავლო წელს სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე კონკურსის წესით ჩარიცხვა იწარმოებს ოთხ სამაგისტრო პროგრამაზე:

- „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ (სწავლების ენა ქართული და რუსული);
- „ტელეკომუნიკაცია“ (სწავლების ენა ქართული);
- „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ (სწავლების ენა ქართული);
- „ტექნოლოგიების მენეჯმენტი და პოლიტიკა“ (სწავლების ენა ინგლისური).

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახული აქვს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ მითითებულ ზღვარზე მეტი ქულა აქვს მიღებული;

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულია:

- წაკითხულის გააზრება - 7,0 ქულა
- ანალიტიკური წერა - 7,0 ქულა
- ლოგიკური მსჯელობა - 5,2 ქულა
- რაოდენობრივი მსჯელობა - 5,2 ქულა

საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით გადალახვის შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა შესაბამის საგანში:

„ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“
„ტელეკომუნიკაცია“
„საწარმოთა ეკონომიკის და მენეჯმენტის საფუძვლები“

კონსულტაციები სასპეციალიზაციო გამოცდებისათვის ჩატარდება ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტების შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტებში. საგამოცდო ფურცელში, რომელიც გაიცემა ფაკულტეტებზე, მითითებულია გამოცდის თარიღი და ადგილი.

სასპეციალიზაციო გამოცდები ჩატარდება საგამოცდო კომპიუტერულ ცენტრში (სტუ-ს პირველი სასწავლო კორპუსი)

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად აპლიკანტმა სასპეციალიზაციო გამოცდაში ასევე უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასპეციალიზაციო გამოცდისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა სამაგისტრო პროგრამაზე არის 31 ქულა (შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან), მინიჭებული კოეფიციენტი – 65.

მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის მითითებით;

2. პირადობის მოწმობა და მისი ასლი;

3. აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მათი ასლები;

4. ფოტოსურათი 4 ცალი, ზომით 3 x4 სმ;

5. მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთა- თვის);

6. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge) ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატის დედანი გამოცდების ეროვნული ცენტრიდან (მისი არსებობის შემთხვევაში)

7. თი-ბი-სი ბანკის რომელიმე ფილიალში გადახდილი 15 - ლარიანი ქვითარი.

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტის განცხადება არ მიიღება. საბუთების პირველადი შემოწმება ხდება ფაკულტეტის დეკანატში.

დეკანატის მიერ ვიზირებულ განცხადებას, საბუთებთან ერთად, აპლიკანტი აბარებს სტუ-ს კანცელარიას;

სამაგისტრო პროგრამების და საგამოცდო ტესტების ნიმუშების გაცნობა შესაძლებელია ფაკულტეტის და სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე (www.gtu.ge/sw_dep.php).

„ ენერგეტიკა და ელექტროინჟინერიის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამეზე შემსვლელთა საყურადღებოდ

ქვემოთ მოცემულია მაგისტრატურის სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები საგანში „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“ სასწავლო კურსების მიხედვით, სავარაუდო პასუხებით. საკითხები აღებულია იმ სასწავლო კურსებიდან, რომელიც თქვენ ისწავლეთ პირველ, მეორე და მესამე სასწავლო წელს. სულ 23 სასწავლო კურსიდან აღებულია 1180 საკითხი. სტუდენტმა პასუხი უნდა გაცეს 100 საკითხისაგან შემდგარ ტესტს (თითოეული სასწავლო კურსიდან 4-5 საკითხი). თითოეული შეკითხვა ერთ ქულიანია.

„ ტელეკომუნიკაციის“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამეზე შემსვლელთა საყურადღებოდ

ტელეკომუნნიკაციის მაგისტრატურის პროგრამაზე 2016 წელს მისაღები გამოცდის

ბილეთების შედგენის წესი

15 საგნიდან თითოეულის (გარდა რამდენიმე გამონაკლისისა) შესაბამისი საგამოცდო

საკითხები დაყოფილია 3 (სამქულიან, ორქულიან და ერთქულიან) ჯგუფად.

საგამოცდო ბილეთებში 25 სამქულიანი საკითხი შეირჩევა საგნების საკითხების

პირველი (1.1, 2.1, 3.1, ..., 15.1) ჯგუფიდან (მაქსიმალური ჯამური ქულა 75), 10

ორქულიანი საკითხი - მეორე (1.2, 2.2, 3.2, ..., 15.2) ჯგუფიდან (მაქსიმალური ჯამური

ქულა 20), ხოლო 5 სამქულიანი საკითხი - მესამე (1.3, 2.3, 3.3, ..., 15.3) ჯგუფიდან

(მაქსიმალური ჯამური ქულა 5).

ბილეთებში სულ 40 საკითხი (მაქსიმალური ჯამური ქულა 100

„ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტი და ინდუსტრიული პოლიტიკა“ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამეზე შემსვლელთა საყურადღებოდ

ქვემოთ მოცემულია მაგისტრატურის სასპეციალიზაციო გამოცდის საკითხები სავარაუდო პასუხებით. საკითხები აღებულია იმ მენეჯერული და ეკონომიკური შინაარსის საბაზისო კურსებიდან, რომლებიც საინჟინრო და ბიზნესის მიმართულებების ყველა საბაკალავრო პროგრამებში ისწავლება. კითხვების საერთო რაოდენობაა 118, რომლებიც დაყოფილია სამ ნაწილად და 27 საკითხად. თითოეულმა შემსვლელმა უნდა

უპასუხოს 20 კითხვისგან შემდგარ ინდივიდუალურ ტესტს, რომლებიც სამივე ნაწილს და 27-სავე საკითხს მოიცავენ. თითოეული კითხვა ხუთ ქულიანია